სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 თებერვალი, 2025 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-02/28

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ლაშა ბოლქვაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ დებულების (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილება), **ლაშა ბოლქვაძის** დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის № 01-08/513 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის №06-01/24 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (03.02.2025, ოქმი N22-20/1) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (159512. 17.02.2025)

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ფილოლოგიის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ლაშა ბოლქვაძის** სადისერტაციო ნაშრომის **„დიპლომატიური დისკურსის ლინგვოკულტურული სპეციფიკა (იაპონური და ქართული დიპლომატიური დისკურსის მიხედვით)“** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2025 წლის 19 თებერვალს, 13:00 საათზე (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, II სართული, 37-ე აუდიტორია).
2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ფილოლოგიის“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** ამავე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან:

2.1 თეონა ბერიძე -ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);
2.2. მაია კიკვაძე - ბსუ-ს პროფესორი (**მდივანი**);
2.3. მამია ფაღავა - ბსუ-ს პროფესორი;
2.4. ნინო დვალიძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.5. ნანა მაზმიშვილი- ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.6. ასმათ არძენაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.7. თეა შავლაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ლინგვისტიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ლაშა ბოლქვაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 11 თებერვლის #01-02/19 ბრძანება **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი,** მისი გამოცემის დღიდან.
7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. მ. ფაღავა) და საბჭოს მდივანს (პროფ. მ. კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
8. ბრძანება ძალაში შევიდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილების (03.02.2025, ოქმი N22-20/1) მიღების თარიღიდან - 2025 წლის 03 თებერვლიდან.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**